სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ო ქ მ ი №4

სხდომა გაიმართა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობის სხდომათა დარბაზში 2024 წლის 30 აპრილს (სხდომა დაიწყო 11:00 სთ-ზე, დამთავრდა 12:40 სთ-ზე).

სხდომას ესწრებოდნენ: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - საბა ოდიშარია; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე - ლევანი უჩანეიშვილი; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - ზაზა ნაჭყებია; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე – ინგა ქარდავა; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე – ბადრი კალანდარიშვილი; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ეკონომიკური საკითხების კომისიის თავმჯდომარედ - ბადრი ხურცია; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარედ - ირაკლი კალანდარიშვილი; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე - გიგა წურწუმია; სენაკის მუნიციპაიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარე - ლევანი ჯინორია; სენაკის მუნიციპაიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარის მოადგილე - მანანა გვიჩია; სენაკის მუნიციპაიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარის მოადგილე - შაქრო კოკაია; სენაკის მუნიციპაიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარის მოადგილე - ელიზბარი ოდიშარია; სენაკის მუნიციპაიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარის მოადგილე - კაპიტონი ტორჩინავა; სენაკის მუნიციპაიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარის მოადგილე - ზაზა ყურაშვილი; სენაკის მუნიციპაიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე - ლაშა კუჭავა; სენაკის მუნიციპაიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილე - ზურაბი სანაია; სენაკის მუნიციპაიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილე - მირანდა მირცხულავა; სენაკის მუნიციპაიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილე - ბორისი სოსელია; სენაკის მუნიციპაიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილე - ბესიკი ნარმანია; საკრებულოს წევრები: მარინე ნანეიშვილი; ირაკლი ცხვიტავა; ბადრი შარტავა; მაია ფირცხალავა; გოგიტა ოდიშარია; სულხანი ხუნწარია; საბა სირია.

ასევე ესწრებოდნენ: სენაკის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე ბ. ქუთელია; სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის პასუხისმგებელი პირები: დ. ალანია; რ. კუპრეიშვილი; მ. ჯანაშია; ე. კიზირია; ს. მორგოშია; ავ. ლომია; მ. ბოჯგუა;მ. ალანია. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი საკრებულოს აპარატის უფროსი – ლ. თულაძე; აპარატის თანამშრომლები.

სხდომას თავმჯდომარეობდა: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - საბა ოდიშარია.

მოისმინეს: 1. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 30 აპრილის სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე - საბა ოდიშარია

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 30 აპრილის სხდომის **დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:**

,,1. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 30 აპრილის მორიგი სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე - საბა ოდიშარია

2. სენაკის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე

მომხსენებელი: სენაკისმუნიციპალიტეტის საკრებულოს
საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე: ბ. კალანდარიშვილი

3. ,,სენაკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის თობაზე“

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების
მართვისა და ეკონომიკური საკითხების კომისიის თავმჯდომარე: ბ. ხურცია

4. „სენაკის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ ტერიტორიაზე წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის კერძო საკუთრებაში არსებული ფართის გარეთ ყოლის აკრძალვის ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 23 აპრილის №43 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის
თავმჯდომარე - ირაკლი კალანდარიშვილი

5. შ.პ.ს. ,,სენაკის საავადმყოფო-პოლიკლინიკური გაერთიანები”-ს მოსმენა და შეფასება 2023 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
კომისიის თავმჯდომარე - ინგა ქარდავა

6. შ.პ.ს. ,,სენაკის ამბულატორიულ-პოლიკლინიკური გაერთიანების” მიერ 2023 მოსმენა და შეფასება 2023 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
კომისიის თავმჯდომარე - ინგა ქარდავა

7. ,,სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის და თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინსტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების თაობაზე“ - სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 21 დეკემბრის №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის
თავმჯდომარე - ირაკლი კალანდარიშვილი

8. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ 2023 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ მოსმენა და შეფასება

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული
თანასწორობის საბჭოს მდივანი - მანანა გვიჩია

9. სენაკის მუნიციპალიტეტის სახელით სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადებაზე თანხმობის გაცემის თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე - საბა ოდიშარია

ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე – 26; წინააღმდეგი – 0) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომამ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა** :

1. დამტკიცდეს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 30 აპრილის დღის წესრიგი შემდეგი რედაქციით:

,,1. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 30 აპრილის მორიგი სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე - საბა ოდიშარია

2. სენაკის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე

მომხსენებელი: სენაკისმუნიციპალიტეტის საკრებულოს
საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე: ბ. კალანდარიშვილი

3. ,,სენაკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის თობაზე“

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების
მართვისა და ეკონომიკური საკითხების კომისიის თავმჯდომარე: ბ. ხურცია

4. „სენაკის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ ტერიტორიაზე წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის კერძო საკუთრებაში არსებული ფართის გარეთ ყოლის აკრძალვის ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 23 აპრილის №43 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის
თავმჯდომარე - ირაკლი კალანდარიშვილი

5. შ.პ.ს. ,,სენაკის საავადმყოფო-პოლიკლინიკური გაერთიანები”-ს მოსმენა და შეფასება 2023 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
კომისიის თავმჯდომარე - ინგა ქარდავა

6. შ.პ.ს. ,,სენაკის ამბულატორიულ-პოლიკლინიკური გაერთიანების” მიერ 2023 მოსმენა და შეფასება 2023 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
კომისიის თავმჯდომარე - ინგა ქარდავა

7. ,,სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის და თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინსტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების თაობაზე“ - სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 21 დეკემბრის №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის
თავმჯდომარე - ირაკლი კალანდარიშვილი

8. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ 2023 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ მოსმენა და შეფასება

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
გენდერული თანასწორობის საბჭოს მდივანი - მანანა გვიჩია

9. სენაკის მუნიციპალიტეტის სახელით სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადებაზე თანხმობის გაცემის თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე - საბა ოდიშარია“

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. სენაკი, შოთა რუსთაველის ქ. №247).

მოისმინეს: 2. სენაკის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე

მომხსენებელი: სენაკისმუნიციპალიტეტის საკრებულოს
საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე: ბ. კალანდარიშვილი

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი – ,,სენაკის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე“.

ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე – 17; წინააღმდეგი – 9) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომამ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. დამტკიცდეს სენაკის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში დანართის შესაბამისად.
2. სენაკის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში შეფასდეს დადებითად.
3. გამოცემული განკარგულების შესახებ ეცნობოს სენაკის მუნიციპალიტეტის მერიას.
4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. სენაკი, შოთა რუსთაველის ქ. №247).

სხდომათა დარბაზი დატოვეს საკრებულოს წევრებმა: ბ. ნარმანიამ, გ. ოდიშარიამ.

მოისმინეს: 3. ,,სენაკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის თობაზე“

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების
მართვისა და ეკონომიკური საკითხების კომისიის თავმჯდომარე: ბ. ხურცია

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი – ,,სენაკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის თობაზე“.

აზრი გამოთქვეს: ლ. კუჭავამ, მ. ფირცხალავამ, ი. ქარდავამ, ს. ოდიშარიამ.

ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე – 24; წინააღმდეგი – 0) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომამ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. გადაეცეს სახელმწიფოს საკუთრებაში უსასყიდლოდ სენაკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებები საკადასტრო კოდებით: 44.07.21.622, 44.07.21.465, 44.07.21.298 შემდგომში სრულიად საქართველოს საპატრიარქოსათვის გადასაცემად.
2. გამოცემული განკარგულების შესახებ ეცნობოს სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიას და საქართველოს საპატრიარქოს.
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: სენაკი, რუსთაველის ქ. №247).

მოისმინეს: 4. „სენაკის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ ტერიტორიაზე წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის კერძო საკუთრებაში არსებული ფართის გარეთ ყოლის აკრძალვის ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 23 აპრილის №43 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის
თავმჯდომარე - ირაკლი კალანდარიშვილი

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი – „სენაკის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ ტერიტორიაზე წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის კერძო საკუთრებაში არსებული ფართის გარეთ ყოლის აკრძალვის ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 23 აპრილის №43 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“.

აზრი გამოთქვეს: ლ. კუჭავამ, მ. ფირცხალავამ, ს. ოდიშარიამ.

ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე – 24; წინააღმდეგი – 0) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომამ **დ ა ა დ გ ი ნ ა :**

მუხლი 1.

„სენაკის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ ტერიტორიაზე წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის კერძო საკუთრებაში არსებული ფართის გარეთ ყოლის აკრძალვის ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 23 აპრილის №43 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge; 26/04/2018; სარეგისტრაციო კოდი: 010250020.35.108.016407) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

ა) დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ბაღში, პარკში, სკვერში, გაზონზე წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის მეთვალყურეობის ქვეშ ან მეთვალყურეობის გარეშე ყოფნის შემთხვევაში, წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის მესაკუთრე დაჯარიმდება კანონით დადგენილი წესით, 100 ლარის ოდენობით.“.

ბ) დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის მესაკუთრე ვალდებულია წარმოადგინოს ცნობა საქონლის ადგილწარმოშობის შესახებ და დაკისრებული ჯარიმა გადაიხადოს 20 დღის ვადაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ დაკისრებული ჯარიმის, პირუტყვის სპეციალურ ადგილზე გადაყვანისა და პირუტყვის მოვლა-პატრონობის ხარჯების ანაზღაურების უზრუნველყოფის მიზნით, ხორციელდება პირუტყვის რეალიზება საბაზრო ფასებით.“.

გ) დადგენილებით დამტკიცებული ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევთათვის გადასაცემი გაფრთხილების ფორმა ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევ პირთა უფლება-მოვალეობისა და ჯარიმის გადახდის წესის შესახებ (დანართი №2) ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ ა ფ რ თ ხ ი ლ ე ბ ა

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 148-ე მუხლის მე-4 ნაწილისა და სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 23 აპრილის №43 დადგენილების შესაბამისად, სენაკის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ ტერიტორიაზე (პარკში, ბაღში, სკვერსა და გაზონში) წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის მეთვალყურეობის ქვეშ ან/და მეთვალყურეობის გარეშე ყოფნის შემთხვევის დაფიქსირებისას, ჯარიმდებით 100 (ასი) ლარის ოდენობით, ხოლო მისი სპეციალურ ადგილზე გადაყვანისა და მოვლა-პატრონობისათვის დაგეკისრებათ თითოეულ დღეზე 10 ლარი.

მესაკუთრისათვის წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის დაბრუნება მოხდება წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის მესაკუთრეობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის, ჯარიმის, მისი სპეციალურ ადგილზე გადაყვანისა და მოვლა-პატრონობის ხარჯების გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენისა და სათანადო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

ჯარიმის გადახდა და საქონლის ადგილწარმოშობის შესახებ ცნობის წარმოდგენა უნდა განხორციელდეს 20 დღის ვადაში, ხოლო წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის სპეციალურ ადგილზე გადაყვანისა და მოვლა-პატრონობის ხარჯების ასანაზღაურებელი თანხის გადახდა განხორციელდეს შემდეგ ანგარიშზე:

მიმღების დასახელება – სახელმწიფო ხაზინა;

საბიუჯეტო შემოსავლების სახაზინო კოდი – 300373260;

მიმღები ბანკი – სახელმწიფო ხაზინა.

შემოსავალი სანქციებიდან /ჯარიმები და საურავები/ მმართველობის დადგენილი წესის ხელმყოფი/ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამო ვადის გასვლის შემდეგ, დაკისრებული ჯარიმისა და წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის მოვლა-პატრონობის ხარჯების ანაზღაურების უზრუნველყოფის მიზნით, განხორციელდება წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის რეალიზაცია კანონმდებლობით დადგენილი წესით. დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს ,,სენაკის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი მომსახურების ცენტრს" შემდეგ რეკვიზიტებზე – მისამართი: სენაკი, ახალგაზრდობის ხეივანი №7; ტელეფონი: (0 413 27-82-66).

ადმინისტრაციული სამართალდამრღვევი პირის რეკვიზიტები:

გვარი, სახელი ----------, მისამართი ----------,
პირადი № ----------
გავეცანი ----------".

მუხლი 2.
დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

მოისმინეს: 5. შ.პ.ს. ,,სენაკის საავადმყოფო-პოლიკლინიკური გაერთიანები"-ს მოსმენა და შეფასება 2023 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
კომისიის თავმჯდომარე - ინგა ქარდავა

საკრებულოს წევრებმა კითხვა პასუხის რეჟიმში მოისმინეს ,,შ.პ.ს. ,,სენაკის საავადმყოფო-პოლიკლინიკური გაერთიანები"-ს დირექტორის ანგარიში 2023 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: ლ. კუჭავამ, ზ. ნაჭყებიამ, ს. ოდიშარიამ.

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი ცვლილების გათვალისწინებით – ,,შ.პ.ს. ,,სენაკის საავადმყოფო-პოლიკლინიკური გაერთიანები"-ს მოსმენა და შეფასება 2023 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ".

ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე – 17; წინააღმდეგი – 7) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომამ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. შ.პ.ს. ,,სენაკის საავადმყოფო-პოლიკლინიკური გაერთიანების" 2023 წლის წარმოდგენილი ანგარიშის შესაბამისად, შეფასდეს დამაკმაყოფილებლად.
2. გამოცემული განკარგულების შესახებ ეცნობოს სენაკის მუნიციპალიტეტის მერიას.
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში (მის.: ქ. სენაკი, შ. რუსთაველის ქ. №247).

მოისმინეს: 6. შ.პ.ს. ,,სენაკის ამბულატორიულ-პოლიკლინიკური გაერთიანების" მოსმენა და შეფასება 2023 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
კომისიის თავმჯდომარე - ინგა ქარდავა

საკრებულოს წევრებმა კითხვა პასუხის რეჟიმში მოისმინეს ,,შ.პ.ს. ,,სენაკის საავადმყოფო-პოლიკლინიკური გაერთიანები"-ს დირექტორის ანგარიში 2023 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: ლ. კუჭავამ, ზ. ნაჭყებიამ, ს. ოდიშარიამ.

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი – ,,შ.პ.ს. ,,სენაკის ამბულატორიულ-პოლიკლინიკური გაერთიანების" მოსმენა და შეფასება 2023 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ".

აზრი გამოთქვეს: ლ. კუჭავამ, ზ. ნაჭყებიამ, ს. ოდიშარიამ.

ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე – 17; წინააღმდეგი – 7) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომამ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. შ.პ.ს. ,,სენაკის აბულატორიულ-პოლიკლინიკური გაერთიანების" 2023 წლის წარმოდგენილი ანგარიშის შესაბამისად, შეფასდეს დადებითად.
2. გამოცემული განკარგულების შესახებ ეცნობოს სენაკის მუნიციპალიტეტის მერიას.
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში (მის.: ქ. სენაკი, შ. რუსთაველის ქ. №247).

მოისმინეს: 7. ,,სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის და თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინსტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების თაობაზე" - სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 21 დეკემბრის №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის
თავმჯდომარე - ირაკლი კალანდარიშვილი

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი – ,,სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის და თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინსტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების თაობაზე“ - სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 21 დეკემბრის №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე – 24; წინააღმდეგი – 0) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომამ **დ ა ა დ გ ი ნ ა :**

მუხლი 1.

,,სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის და თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების დამტკიცების თაობაზე“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 21 დეკემბრის №21 დადგენილებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და დანართი №1 დამტკიცდეს თანდართული დანართი №1-ის შესაბამისად.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

სხდომათა დარბაზი დატოვა საკრებულოს წევრმა: ზ. სანაიამ.

მოისმინეს: 8. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ 2023 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ მოსმენა და შეფასება

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
გენდერული თანასწორობის საბჭოს მდივანი - მანანა გვიჩია

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი – ,,სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ 2023 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ მოსმენა და შეფასება“.

ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე – 23; წინააღმდეგი – 0) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომამ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. დამტკიცდეს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს 2023 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში, დანართის შესაბამისად.
2. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თნასწორობის საბჭოს 2023 წელს გაწეული საქმიანობა შეფასდეს დადებითად.
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე .
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, სენაკის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ, სენაკი, შ რუსთველის ქ. №247)

მოისმინეს: 9. სენაკის მუნიციპალიტეტის სახელით სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადებაზე თანხმობის გაცემის თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე - საბა ოდიშარია

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი – ,,სენაკის მუნიციპალიტეტის სახელით სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადებაზე თანხმობის გაცემის თაობაზე“.

ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე – 20; წინააღმდეგი – 3) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომამ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. მიეცეს თანხმობა სენაკის მუნიციპალიტეტის მერიას, NAT240006707 სატენდერო დოკუმენტაციის შესაბამისად დადოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება სს ,,არქეოპოლისთან” - 6542159.50 (ექვსი მილიონ ხუთასორმოცდაორიათას ასორმოცდაცხრამეტი ლარი და 50 თეთრი) ლარზე.
2. გამოცემული განკარგულების შესახებ ეცნობოს სენაკის მუნიციპალიტეტის მერიას და სს ,,არქეოპოლისს”.
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში, სენაკის რაიონულ სასამართლოში (მის.: ქ. სენაკი, შ. რუსთაველის ქ. №247).

სხდომის თავმჯდომარემ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების შემდეგ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: საბა ოდიშარია